

ძველ მეტოქეთა მატჩი

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 5 ოქტომბერი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

“სპარტაკი”: დასაევი, სამოხინი, მირზოიანი, ხიდიატულინი, რომანცევი, შავლო, იარცევი, სოროკინი, გავრილოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი (გესი).

“დინამო”: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე (ჭილაია), დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი, კაკილაშვილი (კოსტავა), შენგელია.

მსაჯი: ი. ტიმოშენკო (დონის როსტოკი).

დუბლიორები – 0:1 (თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჩელებაძემ).

საკავშირო ჩემპიონატის ბოლო 3 ტურში თბილისის დინამოელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ზედიზედ 3 მატჩი მოიგეს ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ მიუღიათ. ამან კოლექტივს შეუნარჩუნა წამყვან სამეულში ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა, გარკვეული სტიმული შეუქმნა მოთამაშებსაც და გულშემატკიცრებსაც.

ამავე ჰერიოდში “სპარტაკის” მაჩვენებლები შედარებით უფრო მოკრძალებული იყო – 3 ქულა 6 შესაძლებლიდან, თუმცა გუნდს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსები.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ინტერესს მატებდა ძველ მეტოქეთა შეხვედრას, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა გუნდებიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ მიმდინარე ევროპულ საკლუბო ტურნირებზე, ბრძოლას აგრძელებენ სწორედ ეს ორნი – “სპარტაკი” (მოსკოვი) და “დინამო” (თბილისი).

ახლა, როცა მატჩი წაგებულია, ძნელია მოძებნო მაურული ტონები ჩვენი გუნდის თამაშის დადებითი დახასიათებისთვის, მაგრამ ობიექტურობის გრძნობა გვიკარნახებს ვთქვათ, რომ დინამოელებმა ითამაშეს ძლიერად, ლამაზი, ტექნიკური ფეხებურთი აჩვენეს მაყურებელს და მოწონებაც სამართლიანად დაიმსახურეს.

თბილისელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღეს, რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშეს შუა მინდორში, რის შემდეგ საჭარიმო მოედანზე სახითათო გარღვევები განახორციელეს შენგელიამ, გუცაევმა, დარასელიამ. საპასუხო კონტრიერიშებზე გადადიოდნენ მასპინძლებიც – ჩერენკოვი, სოროკინი, გავრილოვი.

ტაიმის დამთავრებას სულ 30-მდე წამი აკლდა, როცა სპარტაკელთა ერთ-ერთი შეტევის შემდეგ მეკარე გაბელიას წინ ერთობ კრიტიკულ სიტუაციაში ბურთისთვის საბრძოლველად ერთმანეთს შემორჩნენ მოსკოველთა თავდამსხმელი იარცევი და თბილისელთა სტოპერი ხიზანიშვილი. დიდი სისწრაფით მქროლი მეტოქები შეეტაკნენ ერთმანეთს და ორივე ძირს დაეცა.

ვიმეორებთ: სიტუაცია ძალზე კრიტიკული იყო. მისი შეფასების უფლება – მოხდა თუ არა დარღვევა, არსებობდა თუ არა საკმარისი არგუმენტები 11-მეტრიანის დასანიშნავად – მოედანზე აქვს მხოლოდ და მხოლოდ არბიტრს, სხვას არავის. ი. ტიმოშენკომ კი მიიჩნია, რომ ამ მომენტში დინამოელთა მოთამაშემ დაარღვია წესი და ჰერცალტიც დანიშნა (იგი მირზოიანმა უშეცდომოდ დაარტყა). ჩვენ კი იმ აზრისა ვართ,

რომ პენალტის დასანიშნავად არ იყო საკმარისი მოტივები და მსაჯს ამ უმაღლესი გომის სასკელით არ უნდა დაესაჭა თბილისის "დინამო"...

მეორე ტაიმი თბილისელებმა დაიწყეს სწრაფი ენერგიული შეტევებით, "სპარტაკი" თითქმის მთელი შემადგენლობით მიეკაფტვა თავის ნახევარს. 51-ე წუთზე სწრაფად გათამაშებული კომბინაცია ჩივაძე-დარასელია-შენგელია დამთავრდა ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით და ეფექტური გოლით – 1:1.

ამის შემდეგ კიდევ 20-25 წუთის განმავლობაში დინამოელები თითქმის არ მოსცილებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს, სტუმართა კომბინაციური იერიშები, ინდივიდუალური გარღვევები არ წყდებოდა, "სპარტაკის" მცველები, დასაევი ძლივს იგერიებდნენ ხანგრძლივ შტურმს. და აი, "სპარტაკმა" ხსნა ჰპოვა იმაში, რომ ძალზე სუსტ ადგილს მიაგნო დინამოელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე და მაქსიმალურად იყენებდა ყოველ, თუნდაც სულ მცირე შესაძლებლობას კონტრიერიშების საწარმოებლად. ამის გამო თბილისელები იძულებული იყვნენ სათანადო გომებისთვის მიემართათ ამ გონის გასამაგრებლად და დამატებითი მცველის შემოყვანაც კი დასჭირდათ.

მაგრამ ამ გომებმაც ვერ უშველა საქმეს. 81-ე წუთზე სპარტაკელებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს მარჯვენა ფრთიდან, სამოხინმა მიაწოდა ცენტრში და ლიად დარჩენილმა იარცევმა თავით გაიტანა გადამწყვეტი გოლი – 2:1.

ბ. ქორქია.

"ლელო", 7 ოქტომბერი, 1980 წ.